ELKANA
ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია
BIOLOGICAL FARMING ASSOCIATION

biofarm@elkana.org.ge
www.elkana.org.ge

გაზაფხულის ქ. № 61
0186 თბილისი
ტელ/ფაქსი: +995 32 253 6467

61 Gazapkhuli str., 0186
Tbilisi, Georgia
Tel/Fax: +995 32 253 6467

6/1 **18.03.2021**

საქართველოს პარლამენტის

აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ უ ლ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ა

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების თაობაზე

საქართველოს პარლამეტის აგრარული კომიტეტის მიერ გამოცხადებულ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ:

რეზიუმე: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნციონირება საქართველოში ბევრ პრობლემას აწყდება საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის გამო. წინამდებარე წერილში მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზი და შემოთავაზებულია არსებული ხარვეზების გადაჭრის გზები.

ინფორმაცია მომხსენებლის შესახებ: ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (ს/კ 201950898) ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლიდან მუშაობს საქართველოში მდგრადი და ბიო/ორგანული აგროწარმოების განვითარების საკითხებზე და 2500-მდე ფერმერს ემსახურება. ამასთან, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ 2013 წლიდან მუშაობს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებზე - ENPARD II-ის, HEKS-EPER-ის, IFAD-ის და სხვა პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში ასოციაცია „ელკანამ“ რამდენიმე ათეული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბებას და განვითარებას შეუწყო ხელი. ამჟამად ასოციაციის წევრია 25 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა წევრების რაოდენობა ჯამურად 800-ს აჭარბებს.

მოსაზრება ეხება წააკ-ის ტექნიკურ დავალებაში დასმულ შემდეგ შეკითხვებს:

1. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტიანად აღსრულების ხელისშემშლელი ფაქტორები; რა არის კანონის ყველაზე დიდი ხარვეზი და რა უნდა შეიცვალოს, რომ ის გახდეს უფრო ეფექტიანი?
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებული საკანონმდებლო გარემო და შესაბამისი სახელმწიფო მხარდაჭერის ზომები რამდენად ახალისებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და მათ შემდგომ განვითარებას?
3. რამდენად საკმარისი ან ზედმეტია კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები, რამდენად უწყობენ ისინი ხელს მდგრადი და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას და საქმიანობას?
4. რამდენად მარტივია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაფუძნება და მართვა (ოპერირება)? ხომ არ არსებობს პროცედურული სირთულეები ან/და დამაბრკოლებელი ფაქტორები რომელთა გამოსწორებასაც ისურვებდით?
5. რამდენად გამართლებული იყო კოოპერატივის წევრთა მინიმალური ოდენობის 5- დან 9-მდე გაზრდა?

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირების საკანონმდებლო გარემო - რეგისტრაცია, შემდგომი ცვლილებების განხორციელება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

როგორც სხვა ნებისმიერი მიმართულების, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება დამოკიდებულია არა ხოლოდ თავად კანონზე „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, არამედ იმ ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოზე და რეალობაზე, რომლის ფარგლებშიც ხდება კოოპერატივის დაარსება და მისი შემდგომი ფუნქციონირება. ამ კონტექსტის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა სრულიად გააჩეროს თავისთავად კარგი და გამართული საკანონმდებლო აქტის რეალური აღსრულება.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაარსების და ფუქნციონირების ბიუროკრატიული პროცედურები იყოს რაც შეიძლება მარტივი და ხელმისაწვდომი. სამწუხაროდ, კოოპერატივის შემთხვევაში, სხვა სამეწარმეო

საზოგადოებების - მაგ., შპს-სგან განსხვავებით, ეს პროცედურები ბევრად რთულია, ხოლო წევრთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ტექნიკურად შეუძლებელიც კი, კერძოდ:

- **საერთო კრების მოწვევის წესი:**

ამჟამად მოქმედი **„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის** 68-ე მუხლის 8-ე პუნქტის თანახმად - „საერთო კრება მოიწვევა სულ ცოტა 3 კვირის ვადაში საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ან/და წესდებით განსაზღვრულ გაზეთში გამოქვეყნებით“.

ამასთან ამჟამად საქართველოს პარლამენტში განსახილველად **წარდგენილი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის** 243-ე მუხლით შემოთავაზებული პროცედურა ითვალისწინებს კრების გამოცხადებას 1 თვით ადრე, წესდებით განსაზღვრული წესით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. ამავე დოკუმენტის თანახმად პარტნიორთა კრების დღისწესრიგი უნდა გამოცხადდეს კრების მოწვევისას მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე. იქვე წერია, რომ დღისწესრიგის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს სხვა ნებისმიერი ფორმით გავრცელებულ ინფორმაციაში, რომლითაც მოიწვევა პარტნიორთა კრება.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცედურები არის შეუსაბამო, ვინაიდან:

1. გაუგებარია, რა საჭიროა 3 კვირიანი ან 1 თვიანი წინასწარი გამოცხადების პროცედურა როგორც წესი, ერთდაიმავე სოფელში მაცხოვრებელი მეპაიეებისათვის, მით უმეტეს, აგროვადებთან დაკავშირებული სპეციფიკის გათვალისწინებით და განსაკუთრებით, როდესაც <u>კრების მოწვევა განმორებით</u> ხდება; *ჩვენი მოსაზრებით, თუ სადამფუძნებლო დოკუმენტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს, კრების გამოცახდების ლოგიკური ინტერვალი არ უნდა აჭარბებდეს 7-10 დღეს.*
2. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობა ინფორმაციის მისაღებად ნაკლებად სარგებლობს გაზეთებით ან ოფიციალური ორგანოების პორტალებით, არაეფექტური და ხისტია კრების გამოცხადების მოთხოვნა მაინცდამაინც ამ რესურსებით. კრების მოწვევის ფორმალური მხარის დასაკმაყოფილებლად კოოპერატივის მენეჯმენტს უწევს კონსულტაციების გავლა, ჩასვლა მუნიციპალურ ცენტრებში, განცხადების გაკეთების ხარჯის გაწევა და შემდგომ კი რეალურად წევრთა გაფრთხილება პირადი კომუნიკაციის მეშვეობით. *ჩვენი მოსაზრებით, საკმარისია კანონმა დაუშვას კრების მოწმევევა ფოსტით, კოოპერატივის წარმომადგენლის მიერ შეტყობინების გადაცემით ან ელ. საკომუნიკაციო რესურსებით, რომლებიც საშუალებას იძლევა <u>დადასტურდეს მოწვევის მიღება</u>.*

- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდების ცვლილების პროცედურა:**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 11-ე პუნქტისა და საქართველოს პარლამენტში განსახილველად **წარდგენილი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის** 247-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წესდებაში (პარტნიორთა შეთანხმებაში) ცვლილების შეტანა ხდება საერთო კრებაზე, კრების ოქმის ნოტარიული დამოწმებით (საჯარო აქტის გაფორმებით).

თავისთავად ეს პუნქტი თითქოს ეჭვს არ იწვევს, თუმცა რეალობაში კოოპერატივებისათვის გადაუწვეტელ პრობლემად იქცევა შემდეგი გარემოებების გამო:

1. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აწარმოებენ წევრთა რეესტრს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონისა და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 ბრძანების თანახმად, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ კანონი მოითხოვს კოოპერატივის წესდებაში პარტნიორების შესახებ ინფორმაციის მითითებას, რეალურად საჯარო რეესტრი მოქმედ წევრებად მიიჩნევს მხოლოდ წესდებაში დაფიქსირებულ პირებს; შესაბამისად, მოზრდილ კოოპერატივში წევრთა ნაკადურობისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნის გამო (მინიმალური პაისა და საპაიო შენატანის ღირებულებების განსაზღვრა წესდებით), პრაქტიკაში აუცილებელი ხდება **წესდებაში ცვლილებების წელიწადში ერთხელ განხორციელება**;
2. **პანდემიის პირობებში** კრების ფიზიკური მოწვევა შეუძლებელია, ხოლო კრების დისტანციურად ჩატარება კანონით გათვალისწინებული არ არის;
3. რეგიონებში **მოქმედი ნოტარიუსები,** როგორც წესი, უარს ამბობენ კოოპერატივის საერთო კრებაზე დასწრებასა და ოქმის დამოწმებაზე, ვინაიდან: ა) მათ უმეტესობას არ აქვს კოოპერატივებთან მუშაობისა და კრების ოქმების დადასტურების გამოცდილება; ბ) ნოტარიუსების უმრავლესობა უკიდურესად დაკავებულია, ხოლო კოოპერატივის კრების ოქმის დადასტურება მათ ფაქტიურად მთელ დღეს ართმევს და უმეტეს შემთხვევაში, მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში გასვლას მოითხოვს;
4. ამასთან არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც კოოპერატივის კრებაზე დასწრების წინაპირობად ნოტარიუსი, თავის დაზღვევის მიზნით, კანონმდებლობით ასეთი მოთხოვნის არარსებობის მიუხედავად, ასახელებს წევრთა 100%-ის დასწრებას, რაც მრავალრიცხოვან კოოპერატივებში, რეგიონებში ხანდაზმული მოსახლეობის სიჭარბისა და აქტიური მიგრაციის პირობებში, ფაქტიურად შეუსრულებელი პირობაა;
5. ასევე, საერთო კრებაზე დამსწრეთა სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრისას როგორც ნოტარიუსები, ისე **საჯარო რეესტრი** ითვლისწინებენ მხოლოდ წესდებაში რეგისტრირებულ წევრებს და არ იღებენ მხედველობაში კოოპერატივის წევრთა რეესტრის მონაცემებსა და იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ წევრს საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება შეზღუდული აქვს საპაიო შენატანის განუხორციელებლობის გამო;
6. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ განსაზღვრავს წევრის გარდაცვალებას მისი წევრობის შეწყვეტის პირობად, ნოტარიუსები მოითხოვენ მემკვირდეების დასწრებას კრებაზე; ჩვენი გამოცდილებით, ამგვარი პრობლემების მქონე კოოპერატივები (მათ შორის, თუ მემკვიდრე აღარ ცხოვრობს სოფელში ან არ აპირებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებას ან სამკვირდოს გახსნა არ ხდება დიდი ხნის განმავლობაში) ნლების განმავლობაში ვერ ახერხებენ კრების ჩატარებას და შეჩერებული აქვთ საქმიანობა;
7. მეორეს მხრივ, კოოპერატივის მენეჯმენტს ნოტარიუსის მოძიების, დარწმუნების, კრების ადგილისა და დროის შეთანხმების, ნოტარიუსისა და წევრების ტრანსპორტირების და სანოტარო მოქმედებისათვის დიდძალი დროითი და ფინანსური რესურსის დახარჯვა უწევს, რაც კოოპერატივის ერთგულ წევრებს მძიმე ხარჯად ანევა.

ჩვენი მოსაზრებით, მნიშვნელოვანია კანონმა გაითვალისწინოს წესდებაში ცვლილების შეტანის უფრო მოქნილი მექანიზმი, მაგ., წევრთა რეესტრის განახლებასთან, პაის ღირებულებასა და კოოპერატივის გამგეობის წევრთა ცვლილებისასთან დაკავშირებული საწესდებო ცვლილებების დადასტურება უშუალოდ რეესტრში ან სანოტარო ბიუროში წევრთა ხელმოწერით. ამასთან, შესაძლოა წესდებამ გაითვალისწინოს მხოლოდ პაის მინიმალური ოდენობა, ხოლო კონკრეტული წევრის საპაიო შენატანის ღირებულება დადგინდეს კრების გადაწყვეტილებით. ***ყველა შემთხვევაში, თუ გვინდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კანონი ეფექტურად მოქმედებდეს, საჭიროა კრების მოწვევისა და წესდების ცვლილებების პროცედურების დახვეწა.***

- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების რაოდენობის გაზრდა:**

საქართველოში კოოპერაციის გამოცდილებისა და უნარების ნაკლებობის გამო, კოოპერატივის წევრთა რაოდენობის ხელოვნური ზრდის წახალისება კანონით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს დამატებით ხელოვნურ ბარიერს უქმნის ზოგიერთ მცირე, თუმცა რეალურად მოქმედ კოოპერატივს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის პაი, ეკონომიკური მონაწილეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები

პროფესიონალისათვისაც კი უკიდურესად რთული გასაგებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონით გათვალისწინებული შენატენების სახელწოდებები, მათი არსი, დანიშნულება და განსაზღვრის წესი/პრინციპი. მნიშვნელოვანია, რომ შესანტანების დასახელება და მათ არსი მკაფიოდ იყოს მისადაგებული კომერციული სტრუქტურის კაპიტალის კატეგორიებთან, კერძოდ კოოპერატივის ფიქსირებული ხარჯების, საინვესტიციო საჭიროებებისა და საბრუნავი საშუალებების დაფინანსებასთან; მაგალითისათვის:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის ტექსტის ანალიზი საშუალებას არ იძლევა ნათლად და ცალსახად გავმიჯნოთ მინიმალური პაის, პაისა და საპაიო შენატანის ცნებები;
2. არსად არ არის პაის ჯერადი რიცხვით განსაზღვრის პრინციპი, პირიქით, კანონის 13^1 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად - „მეპაიის სავალდებულო საპაიო შენატანის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მისი მოსალოდნელი სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად, კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისთვის გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების პროპორციულად"; რაც შეიძლება ისე განვმარტოთ, რომ საპაიო შენატანი ყველა წევრისათვის ყოველ წელს განსხვავებული, არაჯერადი რიცხვი შეიძლება იყოს. ასეთი ფორმულირება შლის ზღვარს „პაისა" და უბრალოდ „შენატანს" შორის და შეუძლებელს ხდის წევრების პაის რაოდენობების განსაზღვრას;
3. ასევე გაუგებარია, რატომ არის *ყოველწლიურად* პაის შეტანა სავალდებულო, თუ შესაძლებელია, კოოპერატივმა, ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ, მოახდინოს მოგების (ან მისი ნაწილის) რეინვესტირება მომავალი წლის ფიქსირებულ და საბრუნავ ხარჯებში და განახორციელოს წევრებს მომსახურება თავდაპირველად განხორციელებული პაის საფუძველზე და მის პროპორციულად.

ჩვენი აზრით, წევრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ ყოველწლიური პაის შეტანის ვალდებულება, თუ წინა წლის მოგება რეინვეტირების საშუალებას არ იძლევა ან არ არის საკმარისი ყველა ან რომელიმე კონკრეტული წევრის გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების დასაფარად;

ამასთან, თუ გვინდა, რომ კანონმა ეფექტურად იმუშაოს, პაების სახეები, მათი განსაზღვრის წესი და დანიშნულება ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული.

მაგალითისათვის, პაის სახეები შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ***საპაიო შენატანი*** *- მეპაიის ან/და ასოცირებული წევრის მიერ საპაიო ფონდში შეტანილი პაების ჯამური ღირებულება;*
- ***პაი -*** *მეპაიის ან/და ასოცირებული წევრის მიერ ნომინალურ ჯერად ფულად ღირებულებაში (მაგალითად, 300 ლარი) გამოხატული შენატანი საპაიო ფონდში, რომელიც ამ კანონისა და კოოპერატივის წესდებით განსაზღვრული წესის შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს ფულით ან/და ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით; კოოპერატივის მეპაიეს და ასოციარებულ წევრს შეიძლება ჰქონდეთ ერთი ან რამდენიმე პაი; პაის სახეებია:*
- ***საოპერაციო (სავალდებულო) პაი*** *- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ დაგეგმილი წლიური სამეურნეო საქმიანობის (ფიქსირებული და საბრუნავი ხარჯების) დასაფარად მეპაიის მიერ ყოველწლიურად გაკეთებული სავალდებულო შენატანი საპაიო ფონდში, რომელიც მეპაიეს აძლევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობაში მონაწილეობის/მომსახურების მიღების, კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდის მიღებისა და საერთო კრებაზე ხმის უფლებას; მეპაიის საოპერაციო პაების ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად, საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მისი მოსალოდნელი სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად, კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისთვის გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების პროპორციულად და მისი შეტანა ხდება მეპაიის წინა წლის დივიდენდის მომავალი საანგრიშო პერიოდის საოპერაციო პაიში ჩათვლით, ფულადი შენატანით ან მათი კომბინაციით (შევსებით);*
- ***საინვესტიციო (დამატებითი) პაი*** *- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე - საინვესტიციო ხარჯების ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ზარალის დასაფარად, მეპაიის ან ასოცირებული წევრის მიერ პაის სახით განხორციელებული შენატანი საპაიო ფონდში, რომელიც მას აძლევს ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დივიდენდის მიღების უფლებას; მეპაიისათვის საინვესტიციო პაის შეტანა ნებაყოფლობითია; ასოცირებული წევრის მიერ შესატანი საინვეტიციო პაების სახე და ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების გადაწყვეტლებით და დგინდება წევრსა და კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.*

თუ ამ ლოგიკას გავყვებით, კოოპერატივის მეშვეობით მეპაიეებსა და ასოცირებულ წევრებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი სახის სარგებელი:

- ***კოოპერაციული სარგებელი*** *– სამეურნეო წლის განმავლობაში კოოპერატივში ეკონომიკური მონაწილეობის შედეგად მეპაიის მიერ საერთო კრებაზე დადგენილი წესითა და ოდენობით მიღებული შეღავათები (მომსახურების მიღებისას) და ფასნამატები (პროდუქციის რეალიზაციისას);*
- ***საინვესტიციო დივიდენდი -*** *წესდებით განსაზღვრული და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და წევრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით, წევრის მიერ მისი საინვესტიციო პაების პროპორციულად წლიური მოგების საინვეტიციო პაებზე გასანაწილებელი დივიდენდების ფონდიდან მისაღები შემოსავალი;*
- ***დივიდენდი ეკონომიკური მონაწილეობისათვის -*** *წესდებით განსაზღვრული და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და წევრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით, წევრის მიერ მისი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად წლიური მოგების ეკონომიკურ მონაწილეობაზე გასანაწილებელი დივიდენდების ფონდიდან მისაღები შემოსავალი;*
- ***საინვესტიციო და ეკონომიკურ მონაწილეობაზე გასანაწილებელი დივიდენდების ფონდების*** *შეფარდება (%) წლიურ მოგებაში დგინდება საერთო კრების მიერ. ინვეტირების განხორციელების შემდეგ ამ შეფარდების ცვლილება დაუშვებელია საინვესტიციო პაების მფლობელთა 9/10-ის და საინვსეტიციო საპაიო ფონდის პაების 80%-ის მფლობელთა წინასწარი თანხმობის გარეშე.*

საბოლოოდ გვინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ კანონის პაისა და მოგების განაწილებასთან

დაკავშირებული ნორმების დახვეწის გარეშე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება დიდი სირთულეების წინაშე დგას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საგადასახადო შეღავათები

საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით, სასურველია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საგადასახადო შეღავათები გავრცელდეს მეორადი წარმოების კოოპერატივებზე, რათა ეფექტურად განვითარდეს ღირებულებათა ჯაჭვები.

იმედს ვიტოვებთ, რომ წარმოდგენილი მოსაზრებები საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდება!

პატივისცემით,

მარიამ ჯორჯაძე

დირექტორი

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი